Roman Christian-hating emperor Diocletian (244-311, Imp. 284-305)

რომის ქრისტიანთმოძულე იმპერატორი დიოკლეტიანე (244-311 წწ., იმპ. 284-305 წწ.)

Mamuka Tsukhishvili (monk Ioane)
Doctoral student of Technical University of Georgia
Researcher of the history of the villages of the Patriarchate of Georgia
Head of the Scientific Center
Georgia, St. Tbilisi, Erekle II Square N: 1, Tel: 593125072,
Email: mamukacuxishvili@gmail.com
https://orcid.org/0000-0001-7644-6445

Abstract. The persecution of Christians occurred, sporadically and usually locally, throughout the Roman Empire, beginning in the 1st century AD and ending in the 4th century AD. Originally a polytheistic empire in the traditions of Roman paganism and the Hellenistic religion, as Christianity spread through the empire, it came into ideological conflict with the imperial cult of ancient Rome. Pagan practices such as making sacrifices to the deified emperors or other gods were abhorrent to Christians as their beliefs prohibited idolatry. The state and other members of civic society punished Christians for treason, various rumored crimes, illegal assembly, and for introducing an alien cult that led to Roman apostasy.

The first, localized Neronian persecution occurred under the emperor Nero (r. 54–68) in Rome. A more general persecution occurred during the reign of Marcus Aurelius (r. 161–180). After a lull, persecution resumed under the emperors Decius (r. 249–251) and Trebonianus Gallus (r. 251–253). The Decian persecution was particularly extensive. The persecution of Emperor Valerian (r. 253–260) ceased with his notable capture by the Sasanian Empire's Shapur I (r. 240–270) at the Battle of Edessa during the Roman–Persian Wars. His successor Gallienus (r. 253–268) halted the persecutions.

The Augustus Diocletian (r. 283–305) began the Diocletianic persecution, the final general persecution of Christians, which continued to be enforced in parts of the empire until the Augustus Galerius (r. 310–313) issued the Edict of Serdica and the Augustus Maximinus Daia (r. 310–313) died. After Constantine the Great (r. 306–337) defeated his rival Maxentius (r. 306–312) at the Battle of the Milvian Bridge in October 312, he and his co-emperor Licinius issued the Edict of Milan (313), which permitted all religions, including Christianity, to be tolerated.

Key words: Roman Empire; Emperor Diocletian; Persecution of Christians; Idolatry; Constantine the Great.

მამუკა ცუხიშვილი (მონაზონი იოანე)
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი,
საქართველოს საპატრიარქოს სოფლების ისტორიის შემსწავლელი
სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი
საქართველო, ქ. თბილისი, ერეკლე II მოედანი N: 1, ტელ: 593125072,
ელფოსტა: mamukacuxishvili@gmail.com
https://orcid.org/0000-0001-7644-6445

აბსტრაქტი. რომის იმპერიაში ქრისტიანთა დევნა მიმდინარეობდა ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნიდან მე-4 საუკუნის ჩათვლით. თავდაპირველად პოლითეისტური იმპერია რომაული წარმართობისა და ელინისტური რელიგიის ტრადიციებს ატარებდა. როგორც კი ქრისტიანობა გავრცელდა იმპერიაში, იგი შევიდა იდეოლოგიურ კონფლიქტში ძველი რომის იმპერიულ კულტებთან. წარმართული პრაქტიკა, როგორიცაა მსხვერპლშეწირვა გაღმერთებული იმპერატორებისთვის ან სხვა ღმერთებისთვის, მიუღებელი იყო ქრისტიანებისთვის, რადგან მათი რწმენა კრძალავდა მსხვერპლშეწირვას. სახელმწიფო და სამოქალაქო საზოგადოების სხვა წევრები ქრისტიანებს სჯიდნენ სხვადასხვა დანაშაულისთვის, უკანონო შეკრებებისთვის და უცხო კულტის შემოღებისთვის.

პირველი, ლოკალიზებული დევნა მოხდა იმპერატორ ნერონის (54–68) დროს რომში. უფრო ფართო დევნა დაიწყო მარკუს ავრელიუსის (161–180) მმართველობის დროს. დროებითი სიმშვიდის შემდეგ, დევნა განახლდა იმპერატორ დეციუსის (249–251) და ტრებონიუს გალუსის (251–253) დროს. იმპერატორ ვალერიანეს (253–260) მიერ დევნა შეწყდა სასანიდების იმპერატორ შაბურ I-ის (240–270) მიერ რომი-სპარსეთის ომების დროს ედესის ბრძოლაში მისი დატყვევებით. ვალერიანეს მემკვიდრემ გალიენუსმა (253–268) შეაჩერა ქრისტანების დევნა.

ავგუსტუს დიოკლეტიანემ (283–305) დაიწყო ქრისტიანთა საბოლოო საყოველთაო დევნა, რომელიც გაგრძელდა იმპერიის სხვადასხვა ნაწილებში, სანამ ავგუსტუს გალერიუსმა (310–313) არ გამოსცა სერდიკის ედიქტი. მას შემდეგ რაც კონსტანტინე დიდმა (306–337) დაამარცხა თავისი მეტოქე მაქსენციუსი (306–312) 312 წლის ოქტომბერში მილვიანის ბრძოლაში, მან და მისმა თანაიმპერატორმა ლიცინიუსმა გამოსცეს მილანის ედიქტი (313 წ.). აღმსარებლობის ნება დაერთო ყველა რელიგიის, მათ შორის ქრისტიანობის მიმდევრებს.

საძიებო სიტყვები. რომის იმპერია; იმპერატორი დიოკლეტიანე; ქრისტიანთა დევნა; კერპთაყვანისმცემლობა; კონსტანტინე დიდი.

შესავალი. რომის არმიამ 284 წელს იმპერატორად გაიუს ვალერიუს ავრელიუს დიოკლეტიანე (Gaius Aurelius Valerius Diocletianus Augustus) აღიარა. ამ დროისთვის რომის იმპერია აჯანყებების ალში იყო გახვეული. დიდი აჯანყება იყო დაწყებული გალიაში; აჯანყებულებმა იმპერატორებიც აირჩიეს. ბრიტანეთში მძიმე სიტუაციით ისარგებლა რომის ფლოტის უფროსმა კარაუზიუსმა, 287 წელს მან თავი იმპერატორად გამოაცხადა. ამის გარდა, მავრიტანიაში აჯანყდნენ ბერბერები. რეინის საზღვარზე იმპერატორმა გაგზავნა მხედართმთავარი მაქსიმიანუსი, რომელიც 286 წელს ავგუსტუსად და თავის თანამმართველად გამოაცხადა. მაქსიმიანუსს დასავლეთ პროვინციები უნდა ემართა, ხოლო

დიოკლეტიანეს აღმოსავლეთი. შეიცვალა იმპერატორების სტატუსიც. ახლა იმპერატორი პრინცეპსი კი აღარ იყო, არამედ დომინუსი (ბატონი).

დიოკლეტიანემ ჩაატარა რიგი რეფორმები. გადასახადების აკრეფის ნორმალიზებისთვის, მან მათი აკრეფა ფულის მაგივრად ნატურით დაიწყო. გადასახადების აკრეფის მიზნით 288-290 წლებში ჩატარდა მოსახლეობის აღწერა. დიოკლეტიანე ყველაფერს აკეთებდა ორი ავგუსტუსის კულტის გამყარებისათვის. ამან ქრისტიანების მორიგი დევნა გამოიწვია, რადგან ისინი იმპერატორების ღვთაებრიობას არ ცნობდნენ. ამის გარდა, იმპერატორებს არ მოსწონდათ კარგად ორგანიზებული საეკლესიო იერარქია. 303 წელს ქრისტიანობის წინააღმდეგ გამოიცა პირველი ედიქტი, რასაც ქრისტიანების სასტიკი დევნა მოჰყვა.

შედეგები. ისტორიული მატიანეები და დღემდე წარმოებული სამეცნიერო კვლევები ცხადყოფენ, რომ დიოკლეტიანეს სახით რომს ჰყავდა ძლიერი მმართველი. კარგადაა ცნობილი მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ისტორია, როგორც მისი იმპერატორობის, ისე იმპერატორობიდან გადადგომის შემდგომ. ჩვენს კვლევაში შევეცადეთ, წარმოგვეჩინა რეფორმატორი იმპერატორის დამოკიდებულება ქრისტიანობის მიმართ და აგვეხსნა, რით იყო გამოწვეული მისი სისასტიკე ქრისტიანობის მიმდევართა მიმართ.

მეთოდი. წარმოდგენილი სამეცნიერო სტატია ეფუძნება კვლევის მეთოდებს: ემპირიული ანალიზი, შედარებით-ისტორიული მეთოდი, მიზეზ-შედეგობრივი ანალიზი, სინთეზი, აბსტრაქცია, კონტენტ-ანალიზი, სისტემური ანალიზი.

დისკუსია. „ჩემი უსუსურობის გამო რომის მთავარი ვერ გავხდი, მაგრამ აქ სოფელში ისეთი კომბოსტო მოვიყვანე, რომ ნახოთ არასდროს მთხოვდით უკან დაბრუნებას, ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს“ - უთქვამს დიოკლიტიანეს სიცოცხლის მიწურულს.

დიოკლეტიანე (თავდაპირველი სახელი დიოკლესი) იგივე გაიუს ავრელიუს ვალერიუს დიოკლეტიანუს ავგუსტუსი, დაიბადა 244 წლის 22 დეკემბერს სალონასთან ახლოს, დალმაციაში (თანამედროვე სოლინი, ხორვატია) (Barnes,1982:17-18) მშობლებმა მას ბერძნული სახელი, დიოკლესი დაარქვეს ან შესაძლოა, დიოკლეს ვალერიუსი (Barnes, 1982, 20). დიოკლესის მშობლები დაბალი სოციალური სტატუსის მქონენი იყვნენ და მისდამი კრიტიკულად განწყობილი მწერლები ამტკიცებდნენ, რომ მამამისი მსახურობდა სენატორ ანულინუსთან გადამწერად. ბიზანტიელი მემატიანე იოანე ზონარა ამტკიცებდა, რომ იგი მეზიის დუქსი, ქვემო დუნაის ჯარების მთავარსარდალი იყო. პირველი თარიღი, როდესაც ისტორია დიოკლეტიანეს ადგილსამყოფელს განსაზღვრავს არის 282 წელი, რა დროსაც ახალმა იმპერატორმა კარუსმა იგი დანიშნა ელიტარული კავალერიის მეთაურად, რომელიც პირდაპირ იყო დაკავშირებული საიმპერატორო კართან. ამ თანამდებობამ მას 283 წელს არგუნა კონსულობის პატივი. იგი მონაწილეობდა კარუსის შემდგომ სპარსულ კამპანიაშიც (Ioannis,1868:98).

დიოკლეტიანე ჯერ კიდევ იმპერატორმა ავრელიანემ მიიღო საიმპერატორო ჯარისკაცთა რიგებში, შემდეგმა იმპერატორმა პრობუსმა კი რომის ბალკანეთის ულამაზესი მეზიის პროვინციის მმართველობა უბოძა, ასევე მსახურობდა იმპერატორ კარუსის პირად მცველთა გვარდიაში.

დიოკლეტიანე, როგორც ისტორიიდან ირკვევა, ყოფილა თვალთმაქცი, პატივმოყვარე. ჰქონდა დიდი ნიჭი და უნარი, მოეგო ადამიანების გული და მერე ისინი თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა. თურმე შეეძლო ოსტატურად შეეხამებინა ერთმანეთისთვის სიამაყე და ქედუდრეკელობა, სისასტიკე და გულმოწყალება, ხელმომჭირნეობა და ხელგაშლილობა,

სიმტკიცე და მოქნილობა, იყო ცრუმორწმუნე და ფატალისტი, უყვარდა მკითხავთა და ქურუმთა წრეში ყოფნა (სანიკიძე, 1984:204).

მაშინ, როდესაც დიოკლეტიანემ მიიღო იმპერატორობა, მთელი ქვეყანა იყო უმძიმეს სახელისუფლებო და ეკონომიკურ კრიზისში. თითქმის ყველა პროვინციაში მიმდინარეობდა სახალხო გამოსვლები და აჯანყებები, მდგომარეობა თანდათან უმართავი ხდებოდა - ფასების მატება, უტრანსპორტობა, მთლიანად მოშლილი ყოფილა ეკონომიკური და ფინანსური რესურსი (Tillemont,1901:76).

იმპერატორმა კარუსმა 282 წელს დიოკლეტიანე დანიშნა ელიტარული კავალერიის მეთაურად. მალევე, 283 წლის გაზაფხულზე უკვე კონსულის პატივში ვხედავთ. იმავე პერიოდში თან ახლდა იმპერატორ კარუსს სპარსეთთან კამპანიის დროს. ამ მოვლენიდან მალევე აგორდა საკმაოდ დიდი სკანდალი. კერძოდ, სპარსეთთან წარმოებულ ომში, რომელიც წარმატებით მიმდინარეობდა, მოულოდნელად გარდაიცვალა იმპერატორი კარუსი. ისტორიკოსთა ნაწილი თვლის რომ ის მოიშორეს, ნაწილი კი უბედურ შემთხვევად მიიჩნევს (Williams, 1985:36). იმპერატორ კარუსს დარჩა ორი ვაჟი - ნუმერიანე და კარინუსი, რომელთაც დიოკლეტიანემ იმპერატორად არჩევისთანავე უბოძა ავგუსტუსის პატივი. აქაც საოცარი რამ მოხდა. კარინუსი მალევე გაემგზავრა გალიაში, ხოლო ნუმერიანე ჩავიდა ემესაში (სირიის თანამედროვე ქალაქი ჰომსი), სადაც მის სახელზე მონეტის მოჭრის შესახებ ერთადერთი ბრძანებულება გამოსცა. ნოემბერში უკან გამობრუნდა იმ მიზეზით, რომ თითქოს თვალების უმძიმესი დაავადება აღმოაჩნდა და ქალაქიდან დახურული ეტლით წამოიყვანეს. როდესაც ქალაქ ბითინიაში მისულმა ჯარისკაცებმა ეტლის ფარდები გადასწიეს, ნუმერიანე უკვე მკვდარი იყო, რაც იწვევს საფუძვლიან ეჭვს, რომ ისიც მოკლეს (Eutropius,1853:118). ამ ამბავს შეესწრო მისი სიმამრი და საიმპერატორო კარზე საკმაოდ გავლენიანი პირი აპერე, რომელმაც სავარაუდოდ დამალა სიძის სიკვდილის რეალური მიზეზი.

1957-1960 წლებში რუსეთის სამეცნიერო პერიოდიკაში ქვეყნდებოდა ფლავიუს ვოპისკუს სირაკუზელის სქელტანიანი ნაშრომი „жизнеописаний августов“, სადაც ავტორი ნუმერიანეს შესახებ წერს: „Это был замечательный человек, умный, любивший государство, любивший своих подчинённых, умевший выполнять всё то, чего требовали обстоятельства того времени. Он был всегда преисполнен высоких замыслов; иногда, однако, лицо его принимало несколько жёсткое выражение, но благоразумием и исключительной твёрдостью он подавлял движения своего беспокойного сердца“, ცხადია, ასეთი მაღალი ინტელექტის ადამიანთან ურთიერთობა არ მოუნდებოდა უკვე საკმაოდ დაწინაურებულ დიოკლეს, შესაბამისად სავსებით გასაზიარებელია ვარაუდი იმის შესახებ, რომ სწორედ მან მოიშორა წინამორბედი იმპერატორი. მ. გრანტი მიიჩნევს, რომ „Армия собралась на холмах за пределами Никомедии и единодушно приветствовала своего нового императора. Диокл, который теперь принял имя Диоклетиана, облачился в пурпурные одежды, и в ответ на вопрос о том, при каких обстоятельствах был убит Нумериан, извлёк из ножен свой меч и, указывая на префекта претория Аррия Апра, поразил его, произнеся следующие слова: „Вот виновник убийства Нумериана!“ - Солдаты предпочли выбрать единоличным правителем империи своего представителя Диоклетиана, а не соправителя Нумериана Карина (хотя Карин незамедлительно обожествил своего покойного брата) (Грант,1998:54). ყველაფერი ეს იმაზე მეტყველებს, რომ რომს დაუდგა ახალი - კულტურული და ფინანსური შიმშილის, დევნისა და მკვლელობების ხანა, რომელსაც ასევე შეიძლება ეწოდოს კაცთმოძულე დიოკლეტიანეს ეპოქა.

284 წელს იმპერატორმა დიოკლეტიანემ თანამმართველობა უბოძა თავისივე თანამებრძოლსა და თანამემამულეს მაქსიმიანეს. ამ დროიდან ორივე ავგუსტუსად იწოდებოდა.

დიოკლეტიანე არანაკლებ დაპირისპირებაში იყო ნუმერიანეს უმცროს ძმასთან კარინუსთან, რომელიც გაცილებით უფრო გონიერი და დახვეწილი მმართველი იყო, ვიდრე ახლადარჩეული იმპერატორი. მოხდა ისეც, რომ კარინუსის ორი დასაყრდენი ფლავიუს კონსტანციუსი და არისტობულუსი დიოკლეტიანეს გუნდში გადავიდნენ, რამაც მთლიანად შეარყია კარინუსის ძალაუფლება. დიოკლეტიანესა და კარინუსს შორის დაპირისპირებამ პიკს მიაღწია. ორივე მხარემ ჯარები გამოიყვანა და ბრძოლა გაიმართა მეზიაში, მდინარე მარგუსის (მორავა) პირას. წყაროების მტკიცებით, ბრძოლის დაწყებისთანავე კარინუსი ჯარისკაცებმა მოკლეს. თუმცა მეორე ვარაუდით ის დიოკლეტიანემ მოიშორა. ბრძოლის დასრულების შემდეგ აღმოსავლეთის და დასავლეთის არმიებმა იმპერატორი თავიანთ ავგუსტუსად აღიარეს (Barnes,1981:219).

წყაროების მიხედვით მაქსიმიანე კარგი მებრძოლი და დაკვირვებული პიროვნება ყოფილა. რადგან დიოკლეტიანეს მხოლოდ ერთი ასული ვალერია ჰყავდა, ხალხში ჭორიც კი დადიოდა მაქსიმიანე იშვილაო. მისადმი სიმპატიები მაშინაც გამოჩნდა, როდესაც 285 წელს მაქსიმიანეს კეისრობა მიანიჭა. საინტერესო ყოფილა მათი რელიგიური ურთიერთობებიც, პირველი ფიქრობდა, რომ იყო იოვიუსი, ხოლო მეორე თვლიდა, რომ იყო ჰერკულიუსი (Barnes,1981:222).

293 წელს იმპერატორმა დიოკლეტიანემ და მაქსიმიანემ თავიანთ თავს დაუნიშნეს თანაშემწეები, იგივე კეისრები. ანუ, რომში დაწესდა ტეტრარქია. დიოკლეტიანეს თანაშემწე და კეისარი იყო გალერიუსი (გაიუს გალერიუს ვალერიუს მაქსიმიანე), ხოლო მაქსიმიანეს თანაშემწე და კეისარი იყო კონსტანციუს ხლორუსი, იგივე გაიუს ფლავიუს ვალერიუს კონსტანციუსი. კონსტანციუს ხლორუსი (ეს სახელი კანის ყვითელი ფერის გამო შეერქვა) იყო ერთადერთი დახვეწილი, განათლებული და გონიერი მმართველი ამ „დიდებულ ოთხეულს“ შორის. წარმოშობაც ხელს უწყობდა (აზიელი დარდანელი იყო) და ამავე დროს იყო იმპერატორ კლავდიოს II-ის ნათესავი.

მეტად საინტერესოა ისიც, რომ ტეტრარქიულ ხელისუფლებაში მონაწილე კეისრები დაემორჩილნენ დიოკლეტიანეს მოთხოვნას-იმპერატორებთან დანათესავებისა და დამოყვრების მიზნით დასცილდნენ პირველ მეუღლეებს და დაქორწინდნენ მეორედ. დიოკლეტიანეს ერთადერთი ასული ვალერია ცოლად შეირთო გალერიუსმა, ხოლო კონსტანციუსი დაქორწინდა მაქსიმიანეს გერ თეოდორაზე (Corcoran,1992:40).

ტეტრარქიამ დადო ზღვარი, რომ ოცწლიანი მმართველობის შემდეგ ორივე ავგუსტუსი გადადგებოდა, ხოლო მათ ჩაენაცვლებოდა მემკვიდრე-კეისრები. ამასობაში, რომის იმპერიას ჰყავდა ოთხი მმართველი - პირველი ავგუსტუსი დიოკლეტიანე და პირველი კეისარი გალერიუსი განაგებდნენ აღმოსავლეთს, ხოლო მეორე ავგუსტუსი მაქსიმიანე და მეორე კეისარი კონსტანციუს ხლორუსი დასავლეთს (Harries, 2012:33).

იგივე ავტორი (Harries) აღნიშნავდა, რომ პირველმა ავგუსტუსმა დიოკლეტიანემ საიმპერატორო ქალაქად გამოაცხადა აზიური ქალაქი ნიკომედია, საიდანაც მართავდა თრაკიას და ეგვიპტეს, ხოლო გალერიუსმა საკეისრო ქალაქად მშობლიური ქალაქი სირმიუმი აირჩია, საიდანაც განაგებდა დუნაისპირეთსა და საბერძნეთს. რაც შეეხება მეორე ავგუსტუს მაქსიმიანეს, მან აირჩია ქალაქი მედიოლანი (თანამედროვე მილანი), საიდანაც განაგებდა იტალიასა და აფრიკას, ხოლო მისმა კეისარმა კონსტანციუს ხლორუსმა საკეისრო ქალაქად

გამოაცხადა ტრევერი (ახლანდელი ტრირი, მდებარეობს თანამედროვე გერმანიის უკიდურეს დასავლეთით) და სამართავად გადაეცა ბრიტანეთი, გალია და ესპანეთი.

„ქვეყნების“ ასეთი დაყოფითა და მმართველობის ამგვარი ფორმით, იმპერატორმა დიოკლეტიანემ და მისმა თანამმართველებმა გვერდი აუარეს რომს, როგორც „სამყაროს ცენტრს“. დიოკლეტიანეს დამოკიდებულება რომისადმი იყო მეტად უცნაური. ამ ქალაქში მან აღაშენა უდიდესი თერმები, რომელიც შედგებოდა სამი ათასი ოთახისგან, ააგო რამდენიმე ტაძარი და პორტიკი. დიოკლეტიანეზე მეტად კი მაქსიმიანე გამოირჩეოდა. რომელმაც მრავალი სენატორი სიკვდილით დასაჯა და ბევრი მათგანი სენატიდან უსაფუძვლოდ გაათავისუფლა (Roman, 2004:214).

დიოკლეტაინემ გაატარა რამდენიმე რეფორმა. მათ შორის ერთ-ერთია ადმინისტრაციული რეფორმა. რესპუბლიკისა და პრინციპატის დროს, რომის მბრძანებლობის ქვეშ მოქცეული პროვინციები უმეტეს წილად თავისი ადრინდელი, ტრადიციული საზღვრებით იყო შემოსაზღვრული. ეს ტრადიცია დიოკლეტიანემ პირველმა დაარღვია და იმპერია ახალი ადმინისტრაციული პრინციპით, ახალი მოწყობით დაჰყო. მან რომის სახელმწიფოში შექმნა 12 დიოცეზი. დიოცეზში შედიოდა ათი-თორმეტი პროვინცია, რომელთა ჯამი იყო 101. დიოცეზების სათავეში ჩაუყენა პრეტორიანული გვარდიის პრეფექტთა მოადგილეები, რომელთაც ვიკარიუსები ეწოდებოდათ. ახალი პრეტორიანული გვარდია თავიანთი პრეფექტებით იყო ორი: ერთი დიოკლეტიანესთან, ხოლო მეორე - მაქსიმიანესთან. ახლადწარმოქმნილ დიოცეზებსა და პროვინციებში სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფლება ერთმანეთისგან გამიჯნული იყო მკაფიოდ და მკაცრად. როგორც ჩანს, ამ ნაბიჯით დიოკლეტიანეს სურდა აღეკვეთა ახალი უზურპაციების ცდები. მხოლოდ პრეტორიანული გვარდიის პრეფექტები ინარჩუნებდნენ სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლების ერთიანობას.

დიოკლეტიანეს განსაკუთრებული ყურადღება მიპყრობილი ჰქონდა სამხედრო ძლიერებისკენ, რაზედაც საკმაოდ დიდი ფინანსები იხარჯებოდა. ერთ ხანს რომაული არმიები განლაგებულნი იყვნენ ლეგიონებად სასაზღვრო ბანაკებსა და ციხე-სიმაგრეებში. დროთა განმავლობაში ასე დასახლებული ჯარისკაცები ადგილობრივ გარემოს ეთვისებოდნენ და საჭიროების შემთხვევაში მათი ამ ადგილებიდან გაყვანა-გადასახლება ძალიან ძნელი იყო. ამას მოჰყვებოდა ხოლმე მღელვარება, რაც უმრავლეს შემთხვევაში ახალი იმპერატორის კანდიდატურის წამოყენებით მთავრდებოდა. დიოკლეტიანემ სასაზღვრო ჯარები, ანუ ლიმიტანები თავიანთ ადგილზე დატოვა, ამას გარდა, შექმნა სხვა არმიები, რომლებიც განლაგდნენ ქვეყნის შიგნით, სხვადასხვა რეგიონში, მათი განლაგება განსაკუთრებით შეიმჩნეოდა ქვეყნის საზღვრისპირა პროვინციებში.

წყაროთა მტკიცებით ტეტრარქიის ფარგლებშიც კი დიოკლეტიანე ხელმძღვანელობდა როგორც სახმელეთო, ასევე საზღვაო ძალებს, ანუ ის იყო მთლიანი იმპერიის მთავარსარდალი. თავდაპირველად დიდ ყურადღებას აქცევდა არმიაში დისციპლინის აღდგენას და ერთგულების განმტკიცებას.

ახალმა სამხედრო დოქტრინამ ბუნებრივად მოითხოვა მოსახლეობის გასამხედროების მაქსიმალური ზრდა. დიოკლეტიანემდე არმია ძირითადად კომპლექტდებოდა მოხალისეებით. მის დროს კი დაიწყო სამხედრო სავალდებულო გაწვევა. არმიაში მიჰყავდათ ყოველგვარი სოციალური წარმოშობის რეკრუტები, მათ შორის მონები, კოლონები, ტყვედ გარეკილი და რომის სამფლობელო-საზღვრებზე დასახლებული ბარბაროსები (Guttentag, 1867:301).

რაც შეეხება ფინასნურ რეფორმას, დიოკლეტიანემ მოახდინა იმპერიის სამეურნეო და საგადასახადო სისტემის ნატურალიზაცია. ყველა პროვინცია იხდიდა ნატურალურ გადასახადს. 289-290 წლებში რომის იმპერიაში მოეწყო მოსახლეობის აღწერა, რომლის მიხედვითაც დაიწყო გადასახადების გაწერა. დგებოდა სიები, რომელთა გათვალისწინებითაც აღირიცხებოდა გადამხდელი მოსახლეობა თავიანთი უძრავ-მოძრავი ქონებით. აღწერები ხუთ წელიწადში ერთხელ ტარდებოდა. შესაბამისად, გადასახადიც ამ ხნის მანძილზე მომხდარი ცვლილებების პარალელურად განახლდებოდა ხოლმე. გადასახადი რომ უფრო გაზრდილიყო, ის იყო სულადობრივი. არ ჰქონდა მნიშვნელობა ადამიანის სოციალურ წარმოშობას, ერთნაირად იბეგრებოდა სენატორი და პლებეი, კოლონი და მონა. საგადასახადო მიწები იყოფოდა მოსავლიანობა-ნაყოფიერების მიხედვით. გადასახადების აკრეფა მძიმე პირობებში მიმდინარეობდა. გადასახადის სიმძიმის გამო მოსახლეობა მიწებს ტოვებდა. დიოკლეტიანეს საგადასახადო-ნატურალური სისტემა მნიშვნელოვანი საფეხური იყო მონათმფლობელობის რღვევისა და ბატონყმური ურთიერთობების წარმოშობის გზაზე.

დიოკლეტიანემ გაატარა სამონეტო რეფორმა მხოლოდ იმისთვის, რომ აღდგენილიყო დაცემული ფინანსური რესურსები და ფულადსაკრედიტო პოლიტიკაში ბალანსი შეენარჩუნებინა. ხალხმა ოქროს მონეტები შეინახა, ვერცხლის და სპილენძის მონეტების ბრუნვა კი გაიზარდა, რამაც გამოიწვია პირველადი მოხმარების საგნებზე ფასების ეტაპობრივი ზრდა. ამ მდგომარეობამ მოსახლეობა გააღიზიანა და აჯანყებაც კი სცადა, თუმცა დიოკლეტიანემ ის მყისიერად ჩაახშო.

ცნობილია ისიც, რომ 301 წელს დიოკლეტიანემ გამოსცა ედიქტი სავაჭრო ფასების შესახებ. ამ ღონისძიებით იმპერატორმა სცადა დაერეგულირებინა ფასები. უნდა აღდგენილიყო წონასწორობა ფულის ნომინალურ ფასსა და მის რეალურ ღირებულებას შორის, პროდუქტების ფასსა და ხელფასს შორის. ჩვენამდე მოღწეულია ედიქტის რამდენიმე მნიშვნელოვანი ფრაგმენტი. მაგალითად, ერთ პუნქტში ვკითხულობთ: „სახელმწიფოს სახელი, რომის ღირსება და დიდება მოითხოვს, რათა ჩვენ, ჩავაქრეთ რა კეთილ ღმერთთა შემწეობით წინადროინდელი არაერთი აბობოქრებული ბარბაროსი ერის შემოტევები და დავიმორჩილეთ თვით ეს ხალხები, უნდა დავიცვათ სამართლიანობა და მშვიდობიანობა, რომელსაც ჩვენ (სამარადისოდ) ჩავუყარეთ საფუძვლები“ (Duruy,2013:54).

დიოკლეტიანეს სახელთან დაკავშირებულია ქრისტიანთა არაერთი დევნა, დამცირება, მათი სიკვდილით დასჯა. წყაროებში აღწერილია იმპერატორ დიოკლეტიანეს დამოკიდებულება ქრისტიანობის აღმსარებელთა მიმართ.

III-IV საუკუნის თეოლოგი და ქრისტიანი მწერალი ლაქტანციუსი ვარაუდობს, რომ „დიდი დევნის“ ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი იყო გალერიუსი. რაც ასევე დაადასტურა მომდევნო კვლევებმაც. მაგალითად, მაქს ზეილერი მიიჩნევდა, რომ ისტორიული ჭეშმარიტება, რომელიც ჩვენ უნდა დავადგინოთ სხვადასხვაგვარი მტკიცებულებებიდან გამომდინარე, გახლავთ ასეთი: მთელი თავისი უწინდელი პოლიტიკის საწინააღმდეგოდ, დიოკლეტიანე გახდა მდევნელი, რომელმაც გალერიუსის პირდაპირი გავლენით კვლავ განაახლა რელიგიური ომი (Zeiller,1937:461). ლაქტანციუსი დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდა ნიკომიდიაში სამეფო კარზე და ამიტომაც იგი, მართალია, მიკერძოებული, თუმცა, ამასთან ერთად, მნიშვნელოვანი მოწმეც გახლავთ მიმდინარე მოვლენებისა. მას მართებულად არ მიაჩნდა ის გარემოება, რომ მხოლოდ გალერიუსის პიროვნებაში, ან მისი ურწმუნო დედის გავლენაში მოგვეძებნა ქრისტიანების დევნის მიზეზი (Уильямс, 2010:213). ქრისტიანთა დევნაზე პასუხისმგებლობის უდიდესი წილი სწორედ იმპერატორ დიოკლეტიანეზე მოდის.

ზოგიერთი მკვლევარის მოსაზრებით, დიოკლეტიანეს პოლიტიკა თავიდანვე ანტიქრისტიანული იყო: ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის არსებული უთანხმოებების მთავარი მიზეზები მისთვის ცნობილი იყო და მხოლოდ მმართველობის დავალების შესრულების აუცილებლობა უშლიდა ხელს, რომ დევნა განეახლებინა. მმართველობის პირველ წლებში დიოკლეტიანემ ხელი მოაწერა ასევე რამდენიმე კანონს (მაგ: ახლო ნათესავებს შორის ქორწინების აკრძალვის შესახებ და ა. შ.), რაც იმაზეც მიუთითებს, რომ იმპერატორის მიზანი ყოფილა ძველი რომაული წესრიგის აღდგენა.

302 წელს, ანტიოქიაში დიოკლეტიანეს მიერ აღსრულებული მსხვერპლშეწირვისას, ჰარუსპიკების მეთაურმა - ტაგისმა განაცხადა, რომ ქრისტიანთა თანდასწრებით ვერ „აღესრულებოდა“ სასწაული, რის გამოც დიოკლეტიანემ არა მხოლოდ იქ მყოფ სეირისმაყურებელთ, არამედ სასახლეში მყოფ ყოველ ადამიანს მოსთხოვა მსხვერპლშეწირვის აღსრულება ნიშნად წარმართული ღმერთებისადმი პატივისცემისა, ხოლო ვინც უარს განაცხადებდა, ის გაემათრახებინათ. ცხადია, „სასწაულთმომლოდინე“ დიოკლეტიანე გაწბილებული დარჩა (Князький, 2010:113).

მას შემდეგ რაც დიოკლეტიანე დაბრუნდა ნიკომიდიის მთავარ რეზიდენციაში, გალერიუსი და მაღალი რანგის სხვა ჩინოსნები მოითხოვდნენ ქრისტიანთა დევნის დაწყებას. დიოკლეტიანემ გადაწყვიტა, რომ მილეტში არსებულ აპოლონის ტაძარში გაეშვა ჰარუსკიპი, რათა ღმერთების ნება გაეგო. ორაკულმა დაადასტურა იმპერატორის გარემოცვის სურვილი, მაგრამ ამანაც ვერ დაარწმუნა დიოკლიტიანე იმაში, რომ ქრისტიანთა სისხლი დაეღვარა. ამასობაში გამოიცა ედიქტი, რომელიც ეხებოდა შენობა-ნაგებობებს, წმიდა წიგნებს და ასევე მორწმუნეთა სხვადასხვა კატეგორიებს. სიკვდილით დასჯის მეთოდის გამოყენება არ ივარაუდებოდა. ედიქტის გამოცემამდე ცოტა ხნით ადრე, შეიარაღებულმა ძალებმა ჯერ დაიკავეს, ხოლო შემდეგ მიწასთან გაასწორეს ქრისტიანული ტაძარი, რომელიც მდებარეობდა სასახლესთან ახლოს, ასევე ცეცხლს მისცეს საღმრთისმსახურო წიგნები.

303 წლის 24 თებერვალს გამოქვეყნდა ედიქტი, რომელიც ეხებოდა ქრისტიანთა დევნას. ედიქტის მიხედვით ყველა ქრისტიანული ტაძარი და საღმრთისმსახურო წიგნი უნდა განადგურებულიყო, ქრისტიანებისათვის უნდა ჩამოერთმიათ წოდებები და აეყარათ პატივი, სასამართლოში საჩივრის შეტანის შემთხვევაში, ქრისტიანი მონები შემდგომ უკვე ვეღარასდროს შეძლებდნენ თავისუფლების მოპოვებას. ერთმა აღშფოთებულმა ქრისტიანმა კედლიდან ჩამოგლიჯა ედიქტი, რის გამოც ტანჯვა-წამებით ამოხადეს სული.

სტივენ უილიამსის მიხედვით, ამ მოვლენებიდან ძალიან მალე, ნიკომიდიის საიმპერატორო სასახლეში ზედიზედ ორჯერ გაჩნდა ხანძარი. შესაბამისად, კაცთმოძულე გალერიუსმა დაარწმუნა დიოკლეტიანე, რომ ხანძარი ქრისტიანებმა გააჩინეს. ამის შედეგად იმპერატორი ყველა ქრისტიანს, როგორც საკუთარ მტერს ისე უყურებდა. იგივე წყარო მიიჩნევს, რომ დიოკლეტიანემ აიძულა ცოლ-შვილი რათა მათ აღესრულებინათ მსხვერპლთშეწირვა. ჩამოთვლილია რამდენიმე ადამიანი და მათ შორის სახელდება დოროთე, პეტრე და სხვები, რომელთაც უარი განაცხადეს იმპერატორის ბრძანების შესრულებაზე, რის გამოც წამების შემდეგ სიკვდილით დასაჯეს.

დევნის დროს პირველად აწამეს, ნიკომიდიელი ეპისკოპოსი ანთიმოზი და მასთან ერთად ამ ქალაქში მოღვაწე უამრავი სამღვდელო და საერო პირი, რომელთა შორის იყვნენ ქალები და ბავშვები. შესაბამისად საეკლესიო კალენდარში ისინი ასე მოიხსენიებიან „მღვდელმოწამე ანთიმოზი - ნიკომიდიელი ეპისკოპოსი და მასთან წმიდა მოწამენი: თეოფილე დიაკონი, დოროთე, მარდონიოსი, მიგდონიოსი, პეტრე, ინდისი, გორგონიოსი,

ზენონი, დომნა ქალწული და ექვთიმე (აღსრულებულნი 302 წელს. ხსენება 20 იანვარს, 7 თებერვალს, 21,28 დეკემბერს).

დიოკლეტიანესა და გალერიუსის ბრძანებით, ჯარისკაცებმა და რიგითმა ნიკომედიელებმა მიწასთან გაასწორეს ქრისტიანული ტაძრები და დაწვეს საეკლესიო ლიტერატურა. გამოვლენილია არაერთი შემთხვევა იმისა, რომ თვით დაშინებული და ღირსებაშელახული სამღვდელო პირები ადგილობრივ ხელისუფლებას გადასცემდნენ საეკლესიო საგანძურსა და ზოგიერთი ეპისკოპოსი კიდევაც გადავიდა დიოკლეტიანეს მხარეს. იყვნენ მოწამეებიც, რომელთაც უარი განაცხადეს საეკლესიო ნივთებისა და წიგნების დაწვასა და განადგურებაზე, ასეთად იხსენიებენ ფელიქს ტუბიზელს, რომელიც ჩრდილოეთ აფრიკაში მოღვაწეობდა (Болотов, 1910:158)[1].

დიოკლეტიანეს ეპოქაში უამრავი ადამიანი ეწამა, რათა მათ დაეცვათ ქრისტიანული სარწმუნოება დევნისა და შევიწროებისგან[2].

ევსები კესარიელი წერდა, რომ დიოკლეტიანეს მეფობის მეცხრამეტე წელს (ახ. წ. 303 წ.) მარტის თვეში, როცა ახლოვდებოდა მაცხოვრის ვნების დღესასწაული, მთელს იმპერიაში გამოქვეყნდა დიოკლეტიანეს ბრძანებულება, რომლის თანახმადაც ჯარისკაცებს უნდა დაენგრიათ ეკლესიები, დაეწვათ წმინდა წერილები და დასჯიდნენ იმათაც, რომლებიც აღიარებდნენ ქრისტიანობას. ასევე გამოიცა განკარგულება, რომლის თანახმადაც ყველა ტაძრის წინამძღვარი დაეპატიმრებინათ და ციხეში გამოემწყვდიათ (Eusebius,1897:211).

303 წლის გაზაფხულზე სირიასა და სომხეთში ერთდროულად იფეთქა რამდენიმე აჯანყებამ. მასობრივ გამოსვლებში დიოკლიტიანემ თავიდანვე ქრისტიანები დაადანაშაულა. შედეგმაც არ დააყოვნა და ერთმანეთის მიყოლებით რამდენიმე ედიქტი გამოსცა. სადაც ქვეშევრდომ-ხელქვეითებს ძირითადად მოუწოდებდა ქრისტიანთა დევნის, შევიწროების, წამებისა და სიკვდილით დასჯისკენ.

მაგალითად, ცნობილი მწერალი, პუბლიცისტი და გამომცემელი მარკ გალი (Mark Galli) წერს, რომ დიოკლეტიანეს პირველი ბრძანებულება კრძალავდა ყოველგვარ ქრისტიანულ

---

[1] მესამე ტომში შევიდა ძველი ეკლესიის ისტორიის შესახებ ლექციების მეორე ნაწილი, რომელიც მოიცავს ქრისტიანობის ისტორიის პირველ სამ საუკუნეს, გამოქვეყნებული ა.ი. ბრილიანტოვის მიერ 1910 წელს, შესწორებული და დამატებული ადრე გამოუქვეყნებელი სალექციო მასალით.

[2] განსაკუთრებით ცნობილი მოწამეები არიან: რომის პაპი - მარკელინი (ხსენება 7 ივნისს), დიდმოწამე ანასტასია მწვალებლობათა დამხსნელი (ხსენება 22 დეკემბერს), დიდმოწამე გიორგი (ხსენება 6 მაისს, 23 ნოემბერს), მოწამე ანდრია სტრატილატი (ხსენება 19 აგვისტოს), იოანე მხედარი (ხსენება 30 ივლისს), წმინდანი უვერცხლონი კოზმა და დამიანე (ხსენება 1 ივლისს, 17 ოქტომბერს, 1 ნოემბერს), კვირიკე და ივლიტა (ხსენება 15 ივლისს), კვიროსი და იოანე და მათთან ერთად სხვანი (ხსენება 31 იანვარს), ევპოლოს არქიდიაკონი (სიცილია; ხსენება 11 აგვისტოს), დიდმოწამე პანტელეიმონ ნიკომიდიელი (ხსენება 27 ივლისს), თეოდოტე (ხსენება 7 ნოემბერს), მოკიოს ბიზანტიელი (ხსენება 11 მაისს), სებასტიანე რომაელი (ხსენება 18 დეკემბერს), ეპისკოპოსი იანუარიუს ლაოდიკიელი და მასთან ერთად პროკულე, სოსიოს და ფავსტოს დიაკონები (ხსენება 21 აპრილს), პრესვიტერები ტროფიმე და თალასი ლაოდიკიელები (ხსენება 16 მარტს), მელეტინელი მოწამენი (ხსენება 7 ნოემბერს), მოწამე თეოდოტე და 7 ანკვირელი ქალწული (ხსენება 18 მაისს, 6 ნოემბერს), მოწამენი თეოდულია, მაკარი, ელადი და ევაგრე ანაზარელები (ხსენება 5 თებერვალს); მავრიკიოს აპამეელი და 70 მოწამე (ხსენება 22 თებერვალს), მოწამენი ისააკი, აპოლოსი და კოდრატე ესპანელები (ხსენება 21 აპრილს), მოწამენი ვალერია, კირიაკია და მარიამ კესარიელები (ხსენება 7 ივნისს), ლუკი რომაელი ქალწული და მასთან ერთად სხვანი (ხსენება 6 ივლისს), მოწამენი ბიქტორი, სოსთენესი და დიდმოწამე ეფემია ქალკედონელები (ხსენება 16 სექტემბერს), მოწამენი კაპიტოლინა და ერორიდა კესარია-კაბადოკიელები (ხსენება 27 ოქტომბერს) და სხვ.

თაყვანისცემას და ბრძანებდა ეკლესიებისა და ქრისტიანული წიგნების განადგურებას. აღმოსავლეთის პროვინციებისთვის გამოცემული კიდევ ორი ბრძანებულება მოითხოვდა სასულიერო პირების დაპატიმრებას, თუ ისინი წარმართულ ღვთაებებს არ შესწირავდნენ მსხვერპლს. 304 წლისთვის ეს ედიქტი გავრცელდა ყველა ქრისტიანზე. განსაკუთრებით სასტიკი იყო აფრიკაში, დიოკლეტიანეს თანამმართველ მაქსიმიანეს საგამგებლოში.

წყაროთმცოდნეები და მკვლევარები (მაგ. Keresztes, Lactantius, Eusebius, Corcoran და სხვა) აღნიშნავენ, რომ დიოკლეტიანეს მოუთხოვია, ყველა, ვინც უარს იტყოდა მსხვერპლთშეწირვაზე, ცოცხლად დაეწვათ. ამ მოთხოვნის მიუხედავად, ზოგიერთ ადგილობრივ მოსამართლეს სიკვდილით დასჯის შესახებ გადაწყვეტილება არ გამოჰქონდა, რადგან ისინი იყენებდნენ დისკრეციულ უფლებამოსილებას, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებდა თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეერჩიათ ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. ქრისტიანთა ცოცხლად დაწვის შესახებ ასევე მეტად მძიმე იყო გალერიუსის რეკომენდაცია, რომელიც აღმოსავლეთში ქრისტიანების სიკვდილით დასჯის გავრცელებულ მეთოდად გადააქციეს (Christian, 2006:75).

დიოკლეტიანემ ე. წ. რეფორმატორული მოღვაწეობის პერიოდში განცდილი ყველა (სამართლიანი) მარცხის გამო (უსაფუძვლოდ) დაიწყო ქრისტიანთა დევნა. ამ თვალსაზრისით ეს იყო ახალი, ყველაზე დიდი ეტაპი. ამას შეიძლება ეწოდოს ასევე შურისძიებაც. თავისი სისასტიკით მან გაუსწრო ნერონს, დეციუსსა და ვალერიანეს. წინამორბედ უცხოელ მეცნიერთა შრომებზე დაყრდნობით ლ. სანიკიძე კიდევ ერთ საკითხს შეეხო. ესაა ტაძრების დარბევა და გაძარცვა. იმპერატორის და მათი ხელქვეითთა წაქეზებით შეიარაღებული მეომრები შეცვივდნენ ბრწყინვალე ქრისტიანულ ტაძარში, რომელიც მთლიანად ააოხრეს. სწორედ ამ დღეს გამოქვეყნდა დიოკლიტიანეს პირველი ედიქტი ქრისტიანთა შეკრებისა და ქრისტიანული ღმრთისმსახურების დაუყოვნებლივი აკრძალვის შესახებ და ვინც ედიქტში გაწერილ მოთხოვნებს არ შეასრულებდა ან უგულვებელყოფდა, ის ისჯებოდა სასტიკი წამებითა და სიკვდილით (სანიკიძე, 1984:216).

გ. ქავთარიას შეფასებით, დიოკლიტინეს ანტიქრისტიანული ქმედებები წარმოადგენდა აგონიაში მყოფი რომის წარმართული ღმერთების თაყვანისა და პატივისმცემელთა უკანასკნელ გაბრძოლებას. დიოკლიტიანეს პოლიტიკურმა იდეოლოგიამ და ე. წ. მრწამსმა ქრისტიანულ სამყაროში მარადიულად და წარუხოცელად დაიმკვიდრა ანტიგმირის სახელი. განსაკუთრებული წყევლა-კრულვით მოიხსენიებენ მის სახელს ქრისტიანობის პირველი მკვლევარები და დამცველები. ლაქტანციუსის დახასიათებით რომის იმპერატორი დიოკლეტიანე იყო ბოროტგამომგონებელი და სისხლისმღვრელი. მისივე მტკიცებით, იმპერატორს დასაღუპად მიჰყავდა ქვეყანა და ის ამ ყველაფრის დროს ჰგავდა მიწიერ ურჩხულს (ქავთარია, 2018:38).

ერთი რაც დიოკლეტიანემ პირნათლად აღასრულა, იყო ტეტრარქიის შექმნის დროს დადებული პირობა, რომელიც ითვალისწინებდა 20 წლიანი მმართველობის შემდეგ ავგუსტუსებისა და კეისრების უპირობო გადადგომას. ის წავიდა თავის მშობლიურ სოფელ დალმაციაში (ადრიატიკის ზღვის სანაპირო ქალაქი, რომის პროტექტორატში, დღევანდელი ხორვატია), დასახლდა, თავისივე ნებითა და სურვილით ატეხილ პოლიტიკურ ციებ-ცხელებას გაერიდა და ხელი მიჰყო ბოსტნის მოვლას (Roman Empire, 2004:112).

ასევე საინტერესოა დიოკლეტიანეს ბრძოლა მანიქეველების წინააღმდეგ, რომელიც დასტურდება 297 წლის 31 მარტს გამოცემული ედიქტითაც. სადაც გამოსაყოფია ორი ფაქტორი: 1. რომ მანიქეველობა რომში შეიჭრა სპარსეთიდან და 2. რომ ის არის მეამბოხეთა

სექტა, რომელმაც თავის მხრივ, არც სპარსეთი დაინდო. დიოკლეტიანეს მიერ 297 წელს გამოცემული ედიქტით კანონგარეშე გამოცხადდა მანიქეველობა და დაიწყო მისი და მისი მიმდევრების დევნა. რაც ნიშნავდა იმას, რომ იმპერატორს დაუშვებლად მიაჩნდა თავის სამფლობელოში იმპერიისათვის მიუღებელი რელიგიის გავრცელება (მშვილდაძე, 2008:6).

არსებული კვლევების თანახმად, დიოკლეტიანეს სადამსჯელო (უარყოფითი) გავლენა ეგრის-იბერიამდე (დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველო) არ გავრცელებულა. მიუხედავად იმისა, რომ იმპერატორის გადადგომამდე 5 წლით ადრე, 298 წელს გაფორმდა საზავო ხელშეკრულება, იგივე ნიზიბისის ზავი, რომლის თანახმადაც ეგრის-იბერია შედიოდა რომის პროტექტორატში და შესაბამისად, იმპერიის მმართველ რგოლებს ჰქონდათ მინიჭებული სტატუსი, თავიანთი ძალაუფლების ფარგლებში „დაკანონებული“ უკანონობით განეხორციელებინათ განსაზღვრული უფლება-მოვალეობანი, მათ შორის სადამსჯელოც, თუმცა ასეთ ფაქტებს ჩვენ არ ვიცნობთ.

დიოკლეტიანემ იმპერატორობიდან გადადგომის შემდეგ იცოცხლა ცხრა წელიწადი, სავსებით ჩამოშორდა პოლიტიკას და თითქმის მარტოობაში გაატარა დარჩენილი სიცოცხლე.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

ქავთარია, გ. (2018). *მეფე მირიანი,* თბილისი: მერიდიანი.

სანიკიძე, ლ. (1984). *ძველი რომის ისტორია,* თბილისი: განათლება.

მშვილდაძე, მ. (2008). *რელიგიები და იმპერიები,* თბილისი: თსუ გამომცემლობა.

Barnes, (1981). *Constantine and Eusebius*, 4; Leadbetter, "Numerianus"; Odahl.

Barnes, (1982). *Constantine and Eusebius.*

Byron Lloyd Waldron (2018). *Diocletian, Hereditary Succession and the Tetrarchic Dynasty*, Sydney.

Persecution, Ch. (2006). *Martyrdom, and Orthodoxy, Geoffrey de Ste*. Croix, Michael Whitby, and Joseph Streeter, Oxford.

Eusebius (1897). Christian Frederic Crusé, and Henry de Valois. *The Ecclesiastical History of Eusebius Pamphilus.* London: G. Bell and Sons.

Eutropius (1853). *History of Rome,* Translated, with notes, by the Rev. John Selby Watson, London.

Guttentag (1867). *Geschichte Roms von Valerian bis zu Diokletians tode*, (253-313 n. Chr.)

Harries, J. (2012*). Imperial Rome AD 284 to 363: The New Empire* (The Edinburgh History of Ancient Rome).

Ioannis zonarae (1868). *epitome historiarum.* 1, Lipsiae [Leipzig] : B.G. Teubneri.

Corcoran, Simon (2012). Before Constantine Published in N. Lenski (ed.), The Cambridge Companion to the Age of Constantine (New York) pp. 35-58.

The Roman Empire at Bay (2004). AD 180–395 (The Routledge History of the Ancient World), University of Aachen.

Tillemont (1901). *Memoires pour server a I'histoire ecclesiasique*, Paris.

Victor Duruy (2013). *History of Rome, and of the Roman People*; From Its Origin to the Invasion of the Barbarians.

Биографии римских императоров от Адриана до Диоклетиана (1992). Пер. С. Н. Кондратьева под ред. А. И. Доватура (1957-1960), М. Наука,.

Грант, М. (1998). *Римские императоры.* Нумериан. М.ТЕРРА.

Князький И. (2010). *Император Диоклетиан и закат античного мира*, Алетейя.
Болотов, В.В. (1911). *Лекции по истории древней церкви,* (под ред. и с предисл. проф. А. Бриллиантова). Т. 3.

REFERENCES

kavtaria, g. (2018). *mepe miriani [King Mirian],* Tbilisi: Meridiani.
sanik'idze, l. (1984). *dzveli romis ist'oria [History of Ancient Rome],* Tbilisi: Ganatleba.
mshvildadze, m. (2008). religiebi da imp'eriebi *[religions and empires],* Tbilisi: TSUgamomtsemloba.
Barnes, (1981). *Constantine and Eusebius*, 4; Leadbetter, "Numerianus"; Odahl.
Barnes, (1982). *Constantine and Eusebius.*
Byron Lloyd Waldron (2018). *Diocletian, Hereditary Succession and the Tetrarchic Dynasty*, Sydney.
Persecution, Ch. (2006). *Martyrdom, and Orthodoxy, Geoffrey de Ste*. Croix, Michael Whitby, and Joseph Streeter, Oxford.
Eusebius (1897). Christian Frederic Crusé, and Henry de Valois. *The Ecclesiastical History of Eusebius Pamphilus.* London: G. Bell and Sons.
Eutropius (1853). *History of Rome,* Translated, with notes, by the Rev. John Selby Watson, London.
Guttentag (1867). *Geschichte Roms von Valerian bis zu Diokletians tode*, (253-313 n. Chr.)
Harries, J. (2012*). Imperial Rome AD 284 to 363: The New Empire* (The Edinburgh History of Ancient Rome).
Ioannis zonarae (1868). *epitome historiarum.* 1, Lipsiae [Leipzig] : B.G. Teubneri.
Corcoran, Simon (2012). Before Constantine Published in N. Lenski (ed.), The Cambridge Companion to the Age of Constantine (New York) pp. 35-58.
The Roman Empire at Bay (2004). AD 180–395 (The Routledge History of the Ancient World), University of Aachen.
Tillemont (1901). *Memoires pour server a I'histoire ecclesiasique*, Paris.
Victor Duruy (2013). *History of Rome, and of the Roman People*; From Its Origin to the Invasion of the Barbarians.
Биографии римских императоров от Адриана до Диоклетиана (1992). Пер. С. Н. Кондратьева под ред. А. И. Доватура (1957-1960), М. Наука,.
Грант, М. (1998). *Римские императоры*. Нумериан. М.ТЕРРА.
Князький И. (2010). *Император Диоклетиан и закат античного мира*, Алетейя.
Болотов, В.В. (1911). *Лекции по истории древней церкви,* (под ред. и с предисл. проф. А. Бриллиантова). Т. 3.